

დამატებითი სერვისის „ინტერნეტ მშობელი“

პირობები

1. დამატებითი სერვისის „ინტერნეტ მშობელი“ (შემდგომში „დამატებითი სერვისი“) საშუალებით, სს „სილიქნეტის“ ფიქსირებული ქსლის ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურების აბონენტები შეძლებენ განსაზღვრული რაოდენობის მოწყობილობებზე „დამატებითი სერვისის“ (საინფორმაციო შემეცნებითი ვიდეო კონტენტი + ინტერნეტ უსაფრთხოების მართვის აპლიკაცია) აქტივაცია/გადმოწერისა და მათზე სასურველი კონფიგურაციების დაყენების გზით, მიიღონ ინტერნეტ უსაფრთხოების შესახებ საინფორმაციო ვიდეო ლექციები (სილქ ტვ-ით სარგებლობისას), ასევე აპლიკაციის სხვადასხვა მოწყობილობაზე გადმოწერის/ აქტივაციის გზით მართონ მოწყობილობის მფლობელთა ინტერნეტ უსაფრთხოება.
2. „დამატებითი სერვისის“ (პაკეტის) აქტივაციის (და აპლიკაციის გადმოწერის) შემდეგ, „დამატებითი სერვისის“ (აპლიკაციის) მართვა/კონფიგურაციების ცვლილება შესაძლებელია „დამატებითი სერვისის“ მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, აბონენტის მიერ „ინტერნეტ მშობლის“ ვებ პორტალიდან და მობილური აპლიკაციიდან.
3. „დამატებითი სერვისის“ (პაკეტის) აქტივაციის შემთხვევაში, აბონენტი, მიიღებს შემდეგ მომსახურებებს: საინფორმაციო-შემეცნებითი ვიდეო კონტენტი ინტერნეტ უსაფრთხოების თემატიკაზე სილქ ტვ მენიუში (რომელსაც არ სჭირდება გადმოწერა ან აბონენტის მხრიდან დამატებითი გააქტიურება), ასევე „ინტერნეტ მშობლის“ პორტალით სარგებლობის და ინტერნეტ უსაფრთხოების მართვის აპლიკაციის გადმოწერის, ინსტალაციის და სარგებლობის შესაძლებლობას ნებისმიერ დროს, რომლით სარგებლობასაც აბონენტი შეძლებს აპლიკაციის გადმოწერისა და სასურველი რაოდენობის მოწყობილობებზე გაწერის (აქტივაციის) შედეგად.
4. „დამატებითი სერვისის“ პაკეტის აქტივაციის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ფუნქციონალით სარგებლობა:
 - 4.1. სილქ ტვ-ში, საინფორმაციო-შემეცნებითი ვიდეო კონტენტით სარგებლობა ინტერნეტ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომელიც ტვ მენიუში ავტომატურად გამოჩნდება „დამატებითი სერვისის“ (პაკეტის) აქტივაციისთანავე (ხელმისაწვდომი იქნება სილქ ტვ აბონენტებისთვის);
5. „დამატებითი სერვისის“ შემავალი აპლიკაციის ჩამოტვრთვის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ფუნქციონალით სარგებლობა:
 - 5.1. ბავშვის ასაკის მიხედვით გაწერილი დეფოლტ კონფიგურაციების დაყენება მშობლის მიერ მითითებულ "ბავშვის" მოწყობილობებზე მშობლისთვის დამატებითი სერვისის მარტივად გამოყენების მიზნით
 - 5.2. ბავშვის მოწყობილობების დამატება, წაშლა და თითოეული მოწყობილობისთვის ცალკეული კონფიგურაციების გაწერა
 - 5.3. უსაფრთხო მიების ფუნქცია - მიების შედეგების ფილტრაცია
 - 5.4. ვებ საიტების მეთვალყურეობა
 - 5.5. სოციალური ქსელის მონიტორინგი
 - 5.6. დროის კონტროლი მოწყობილობების და აპლიკაციების მიხედვით
 - 5.7. აქტივობების მონიტორინგი დროების მიხედვით
 - 5.8. წვდომის მოთხოვნა დაბლოკილ კონტენტზე

- 5.9. ადგილმდებარეობის მონიტორინგი
- 5.10. თითოეული მოწყობილობის დეტალური რეპორტირება
- 5.11. ადმინის/მშობლის აპლიკაციის გაზიარება სხვა მოწყობილობაზე, რაც იძლევა იმის საშუალებას რომ რამდენიმე ადმინმა მართოს კონფიგურაციები
- 5.12. აპლიკაციების მონიტორინგი
- 5.13. სოციალურ ქსელებში ჩატის მონიტორინგი სპეციალური ალგორითმის მეშვეობით, რომელიც ახდენს შემდეგი საფრთხეების პრევენციას: კიბერბულინგი, პედოფილია, სუიციდი
- 5.14. შეტყობინების მიღების შესაძლებლობა აპლიკაციაში, პორტალზე და ელ-ფოსტაზე, რომელიც მოწყობილობაზე საფრთხის აღმოჩენის, აპლიკაციის წაშლის, პაროლის აღდგენის შემთხვევაში.
6. დამატებითი სერვისის კონფიგურაცია გავრცელებულია შემდეგ პლატფორმებზე: Windows PC, Android, IOS.
7. **დამატებითი სერვისით სარგებლობას შეძლებენ** „სილქნეტის“ ოპტიკური (GPON) ინტერნეტ მომსახურების (მათ შორის, მომსახურებების ნებისმიერი კომბინაციის/სპეციალური შეთავაზებით (ასევე სილქ+) რომელიც მოიცავს ინტერნეტს) მოსარგებლე ფიზიკური პირი აბონენტები.
8. „დამატებითი სერვისის“ მიწოდება აბონენტებისთვის ხდება: მობილური აპლიკაციით და ვებ პორტალით, ასევე სილქ ტვ-ს საშუალებით (მენიუდან - შემეცნებითი ვიდეო კონტენტის ნაწილში). დამატებითი სერვისით (აპლიკაციით) სარგებლობისთვის საჭიროა ინტერნეტთან წვდომა.
9. „დამატებითი სერვისის“ აქტივაცია ხდება მე-7 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების ანგარიშის ნომერზე.
10. „დამატებითი სერვისით“ სარგებლობისთვის უნდა მოხდეს ერთ-ერთი პაკეტის აქტივაცია. აბონენტის მიერ „დამატებითი სერვისის“ აქტივაცია ხდება შემდეგნაირად:
 - 10.1. **მომსახურების პორტალის mysilknet.com-მეშვეობით:** პორტალზე მოცემული იქნება ღილაკი "სერვისის აქტივაცია". სერვისის აქტივაციაზე დაჭერის შემდეგ, „სილქნეტის“ მხარეს ჩაირთვება „დამატებითი სერვისის“ (პაკეტი). აღნიშნულის შემდეგ "სერვისის მართვა/პარამეტრების მიღება" ღილაკით აბონენტი დაინახავს "ინტერნეტ მშობელი"-ს სისტემაში შესასვლელ მომხმარებლის სახელს (Mysilknet.com ის username) და დააყენებს პირველად პაროლს. ამავე გვერდზე, მოცემული იქნება აპლიკაციის გადმოსაწერი და პორტალის ბმულები. „დამატებითი სერვისით“ (აპლიკაციით) სარგებლობისთვის აბონენტი უნდა შევიდეს "ინტერნეტ მშობელი"-ს პორტალზე/აპლიკაციაში, სადაც შეძლებს გაიაროს ავტორიზაცია, გადმოწეროს აპლიკაცია და მართოს სასურველი (ბავშვის) მოწყობილობები. მშობელს შეუძლია აპლიკაციის გადმოსაწერი ბმული გააგზავნოს ბავშვის მოწყობილობაზე სმს-ით, ელ-ფოსტით, მესენჯერით და ამ მოწყობილობაზე პაროლის გამოყენებით დააინსტალიროს აპლიკაცია.
 - 10.2. **მომსახურების ცენტრის მეშვეობით (ცხელი ხაზი და სერვის ცენტრები):** აბონენტის იდენტიფიცირების შემდეგ, შესაბამისი ოპერატორის მიერ ხდება „დამატებითი სერვისის“ (პაკეტის) აქტივაცია; აბონენტს ეგზავნება შეტყობინება „დამატებითი სერვისის“ აქტივაციის შესახებ (საკონტაქტო ნომერზე სმს-ის მეშვეობით); აღნიშნულის შემდეგ ოპერატორი აბონენტს აწვდის დეტალურ ინფორმაციას/ინსტრუქციას, თუ როგორ გაიაქტიუროს (გადმოწეროს) და ისარგებლოს „დამატებითი სერვისით“ (აპლიკაციით).
11. „დამატებითი სერვისით“ (აპლიკაციით) შესაძლებელია რამდენიმე მოწყობილობის ერთდროულად მართვა, მოწყობილობების რაოდენობა განისაზღვრება „დამატებითი სერვისის“ პაკეტების მიხედვით (იხ. სატარიფო ცხრილი).

12. აბონენტი აპლიკაციით (ინტერნეტ უსაფრთხოების ფუნქციონალი) სარგებლობას იწყებს მას შემდეგ, რაც აბონენტი "ინტერნეტ მშობლის"-ის პორტალზე ან აპლიკაციაში გაივლის ავტორიზაციას როგორც მშობელი/ადმინისტრატორი და გადმოწერს აპლიკაციას სასურველ მოწყობილობებზე.
13. "დამატებით სერვისის" (პაკეტის) ღირებულების დარიცხვა ხდება პაკეტის გააქტიურებიდან, იმის მიუხედავად, იყენებს თუ არა აბონენტი სერვისს, მათ შორის სარგებლობს თუ არა შემეცნებითი ვიდეო კონტენტით, გადმოწერილი აქვს თუ არა აპლიკაცია ან რეგისტრირებულია თუ არა "ინტერნეტ მშობლის" პორტალზე/აპლიკაციაში.
14. „დამატებითი სერვისის“ (აპლიკაციის) კონფიგურაცია, სასურველ მოწყობილობებზე დაყენება, მათთვის აქტივაციის ბმულების გაგზავნა აბონენტმა თავად უნდა უზრუნველყოს "ინტერნეტ მშობლი"-ს ვებ პორტალიდან ან აპლიკაციიდან ("დამატებითი სერვისის" პაკეტის გააქტიურების შემდგომ).
15. „დამატებითი სერვისის“ დეაქტივაცია შესაძლებელია ნებისმიერ დროს პორტალიდან Mysilknet.com დამატებითი სერვისების მენიუში, იგივე ინფო ბოქსში სადაც სერვისის აქტივაცია და პაკეტის ცვლილებაა შესაძლებელი. „დამატებითი სერვისის“ დეაქტივაციისას წყდება ღირებულების დარიცხვა, ასევე შეწყდება მოწყობილობებზე არსებული კონფიგურაციები და სილქ ტვ მენიუში შემეცნებით ვიდეო კონტენტზე „დამატებითი სერვისის“ ფასის ფარგლებში წვდომა.
16. „დამატებითი სერვისის“ დეაქტივაციისას თუ თვითმომსახურების პორტალის (mysilknet.com) ანგარიში (account) რჩება აქტიური - "ინტერნეტ მშობელი"-ს ანგარიში (user name) არ უქმდება, რათა სერვისის ხელახლა აქტივაციის შემთხვევაში თავიდან არ მოხდეს რეგისტრაციის გავლა (თუმცა ამ შემთხვევაში აბონენტს არ დაერიცხება „დამატებითი სერვისის“ ღირებულება). პაკეტის დეაქტივაციის /გაუქმების შემთხვევაში საინფორმაციო-შემეცნებითი ვიდეო კონტენტი დამოუკიდებლად სარგებლობის შემთხვევაში იქნება ფასიანი.
17. „დამატებითი სერვისის“ (პაკეტის) აქტივაციის შემთხვევაში, აბონენტს, მიუხედავად იმისა, განახორციელებს თუ არა აპლიკაციის გადმოწერა/აქტივაციას, ავტომატურად წვდომა ექნება „დამატებით სერვისში“ შემავალ ვიდეო კონტენტზე სილქ ტვ ყველა წერტილზე, იმის მიუხედავად, თუ რომელი პაკეტი აქვს ჩართული აბონენტს (თუ აბონენტი სარგებლობს სილქ ტვ მომსახურებით).
18. თუ აბონენტს არ აქვს ჩართული "დამატებითი სერვისი" (არ აქვს პაკეტი გააქტიურებული) და სარგებლობს სილქ ტვ მომსახურებით, სილქ ტვ მენიუში გამოუჩნდება საინფორმაციო შემეცნებითი ვიდეო კონტენტი, თუმცა ვერ შეძლებს "დამატებითი სერვისის" ფარგლებში (ფასად) ყურებას. ასეთ აბონენტს შეუძლია ისარგებლოს ვიდეო კონტენტით სტანდარტული პირობებით.
19. ერთი ანგარიშის ნომერზე შესაძლებელია „დამატებითი სერვისის“ მხოლოდ 1 პაკეტის აქტივაცია.
20. არ იზღუდება გააქტიურებული პაკეტის სხვა პაკეტით ცვლილების შესაძლებლობა. პაკეტის ცვლილებისას შეწყდება ძველი პაკეტის მოქმედება/შესაბამისი ღირებულების დარიცხვა და დაიწყება ახალი პაკეტის მოქმედება/შესაბამისი ღირებულების დარიცხვა ახალი პაკეტის გააქტიურების მომენტიდან.
21. „დამატებითი სერვისის“ აქტივაციის შემთხვევაში სერვისი აქტიური იქნება, ვიდრე აბონენტი არ მოახდენს „დამატებითი სერვისის“ დეაქტივაციას (არ მოხდება პაკეტის გამორთვა).
22. „დამატებითი სერვისის“ აქტივაცია/დეაქტივაცია უნდა იყოს შესაძლებელი აბონენტის თითოეული ანგარიშის მიხედვით.
23. „დამატებითი სერვისის“ დეაქტივაცია შესაძლებელია მომსახურების პორტალის "Mysilknet.com" და მომსახურების ცენტრების მეშვეობით (ცხელი ხაზი და სერვის ცენტრები).

24. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი, რომელიც არ სარგებლობს "ინტერნეტ მშობელი"-ს აპლიკაციით ან პორტალით, დროებით შეაჩერებს ან გააუქმებს სილქ ტვ მომსახურებას, შეწყდება (გაუქმდება) „დამატებითი სერვისის“ მიწოდება, ხოლო თუ საინფორმაციო-შემეცნებით ვიდეო კონტენტთან ერთად აბონენტი ამავდროულად სარგებლობს "ინტერნეტ მშობელი"-ს აპლიკაციით ან პორტალით, ასეთ შემთხვევაში დამატებითი სერვისი (აპლიკაციის ნაწილში) დარჩება აქტიური, პაკეტის ფასის უცვლელად).
25. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი დროებით შეაჩერებს ინტერნეტ მომსახურებას, შეჩერდება დამატებითი სერვისის მიწოდებაც, ვიდრე არ მოხდება დროებით შეჩერებულ მომსახურების ჩართვა. ხოლო, თუ აბონენტი გააუქმებს ინტერნეტ მომსახურებას, შეწყდება (გაუქმდება) დამატებითი სერვისის მიწოდებაც.
26. მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება „სილქნეტის“ მოქმედი გადახდის არხებით. გადახდისას იდენტიფიკატორი არის ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების ის ანგარიშის ნომერი, რომელზეც მოხდება „დამატებითი სერვისის“ აქტივაცია.
27. შეზღუდულია „დამატებითი სერვისის“ დროებით შეჩერების შესაძლებლობა.
28. არსებული მომსახურებ(ებ)ის ანგარიშის ნომერზე რეგისტრირებულ „დამატებით სერვისზე“ ვრცელდება შესაბამისი ანგარიშით (რომელზეც არის დარეგისტრირებული „დამატებით სერვისი“) გათვალისწინებული შეზღუდვების პირობები.
29. თუ „დამატებითი სერვისი“ შეიზღუდა რაიმე მიზეზით, მაგ. დავალიანება სრულად არ არის დაფარული და ბალანსზე არსებული თანხა არ ყოფნის პაკეტის ღირებულების სრულად დაფარვას, ასეთ შემთხვევაში შეიზღუდება პაკეტის მოქმედება და არსებული კონფიგურაციები ყველა მოწყობილობაზე.
30. აპლიკაციით "ინტერნეტ მშობელი" სარგებლობისას, მომსახურება "ჯეოსელის" გახარჯული მობილური ინტერნეტის ტარიფს მოიცავს "ინტერნეტ მშობელის" პაკეტის ღირებულება. მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ღირებულება არ დაერიცხებათ ჯეოსელის შემდეგი სატარიფო გეგმის აბონენტებს: Geocell 01, Geocell10, SME, Lai Lai, Geocell Staff, Geocell Test (დანარჩენი სატარიფო გეგმის აბონენტებზე არ გავრცელდება აღნიშნული პირობა).

სატარიფო ცხრილი

პაკეტის დასახელება	პაკეტის ყოველთვიური ღირებულება (ლარში)	მოწყობილობების მაქსიმალური რაოდენობა პაკეტის ფარგლებში
Basic	3	5 მოწყობილობის მართვა
Premium	5	10 მოწყობილობის მართვა